საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

# ბრძანება №

MES 4 22 0000883673

09/08/2022

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთან [redacted] შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისა და იურიდიული დეპარტამენტის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2022 წლის 20 ივნისის N675919 ბრძანებით გამოცხადდა კონკურსი სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის [redacted] 2022 წლის პირველი აგვისტოს N863689 მოხსენებითი ბარათის თანახმად, კონკურსის შედეგების შესაბამისად, იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენილი იქნა [redacted] კანდიდატურა.

საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე და 45-ე მუხლების, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილების, საკონკურსო კომისიის 2022 წლის 26 ივლისის N5 სხდომის ოქმის, [redacted] 2022 წლის 09 აგვისტოს N883443 განცხადებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ და „ლ“ ქვეპუნქტების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2022 წლის 09 აგვისტოდან [redacted] დაინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე 12 თვიანი გამოსაცდელი ვადით.

2. 2022 წლის 09 აგვისტოდან შეწყდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და [redacted] შორის 2021 წლის 02 აგვისტოს N01-07/57 ბრძანების საფუძველზე გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება.

3. [redacted] თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საშტატო ნუსხის შესაბამისად.

4. ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა დაევალოს სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N9), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მაია ხაჯიშვილი
მ ი ნ ი ს ტ რ ი